

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N8

ქ. ზუგდიდი

14 მარტი 2019 წელი

2019 წლის 14 მარტს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა;

სხდომას თავმჯდომარეობდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 31 დეპუტატი: მამუკა წოწერია, ბესიკ ჭეჭია, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ეკატერინე კიფაია, დავით გახარია, ოთარ ქადარია, დაზმირ ძიმცივილი, ირაკლი ლაგვილავა, ჯონი ჯიქია, მიხეილ ჯობავა, ბათლომე შელია, კონსტანტინე კაკავა, ამირან ჩხოლარია, ირუზა კაკავა, ზაზა პროკოპენკო, ზაზა ანდრიაძე, სალომე ფაცაცია, ჯანსუღ ჯაბუა, გია დანელია, რევაზ თორდია, მანანა მებონია, გოგი თოდუა, სოსო გოგობია, ლაშა ესებუა, რამაზ ჯაბუა, გიორგი თოდუა, ზურაბ გოგომე, ტარიელ გაბულდანი, ირაკლი ჯანაშია, პაატა ადამია.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა 19 დეპუტატი: ზვიად ყორშია, სანდრო სორდია, ანა წითლიძე, ედიტა კოდუა, დავით შელია, მამუკა თოლორაია, დავით ჭაფანძე, არჩილ ბერანძე, პაატა ებრალიძე, მამუკა ყურაშვილი, გოგიტა ზარქუა, გიორგი კუკავა, ზვიად ქირია, ოთარ მარშავა, მალხაზ ციკუტანია, ზაზა ხუბუა, გელა თოლორაია, ირაკლი ღურწკაია, თენგიზ ალმასია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: მურთაზ ბოკუჩავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე, მამუკა ლოგუა-ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ, ნატალია პაპასკირი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, საკრებულოს სტაჟიორები პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები;

სხდომას მდივნობდა: საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიო ჯიქია;

სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე;

სხდომა დამთავრდა: 14:30 საათზე;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: დავით გახარია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: მურთაზ ბოკუჩავა- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ირაკლი ლაგვილავა-ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: მამუკა ლოგუა-ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფისთვის ვადის გაგრძელების თაობაზე

მომხსენებელი: მამუკა წოწერია- საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე მამუკა წოწერიამ კენჭი უყარა სხდომის დღის წესრიგს

მომხრე -30 დეპუტატი, წინააღმდეგი- არცერთი;

დამტკიცეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით;

საკრებულომ მიიღო N29 განკარგულება (თან ერთვის)

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის N°100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა დავით გახარიამ აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის N°100 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016488) შეტანილ იქნეს

ცვლილებება; ა) ცენტრი - ქ. ზუგდიდი; ბ) ადმინისტრაციული ერთეული სოფლად - 48; გ) ადმინისტრაციული ერთეული ქალაქად - 5; დ) მოსახლეობის რაოდენობა - 105.5 ათასი; ე) ფართობი - 792.0 ათასი ვ) მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი - 0152; ზ) გზების სიგრძე - 1344კმ; თ) 0-5 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა - 7.9 ათასი; ი) სკოლის ასაკის ბავშვების რაოდენობა - 3.9 ათასი; კ) პენსიონერთა რაოდენობა - 29524; ლ) სოციალურად დაუცველთა რაოდენობა - 5037.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვეტის: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულომ მიიღო N14 დადგენილება (თან ერთვის);

დღის წესრიგის მეორე საკითხი: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელმა ირაკლი ლაგვილაგამ აღნიშნ: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 13 მარტის №02/2935 წერილის საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები დანართის შესაბამისად.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის მეორე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვეტის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ

საკრებულომ მიიღო N31 განკარგულება (თან ერთვის);

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფისთვის ვადის გაგრძელების თაობაზე

მომხსენებელმა მამუკა წოწერია ალნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე მუხლის და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილების დანართის 34-ე მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს გაგუგრძელდეს ვადა ერთი თვით.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერია დღის წესრიგის მესამე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვეტის: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფისთვის ვადის გაგრძელების თაობაზე

საკრებულომ მიიღო N31 განკარგულება (თან ერთვის);

სხვადასხვა

დავით გახარია ალნიშნა: ვთანხმდებით იმაში, რომ ბიუჯეტის პროექტირებისას მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჩართულობა, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში თითქმის არ არის. ალნიშნულთან დაკავშირებით წინა სხდომებზეც გავაჟღერე ინფორმაცია, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს სამოქალაქო ბიუჯეტი, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეების აქტიურობას ბიუჯეტის დაპროექტებაში. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მსგავსად, სამოქალაქო ბიუჯეტი გულისხმობს იმ პროექტების დაფინანსებას, რომელიც პრიორიტეტული იქნება მოქალაქეებისთვის. 1989 წლის

ბრაზილიის ქალაქ, ბუენოს-აირესში ადგილი ქონდა მთავრობისა და მოსახლეობის დაპირისპირებას ბიუჯეტის ფორმირებაში, სადაც მოსახლეობა ითხოვდა ბიუჯეტში გათვალისწინებული ყოფილიყო ის პროექტები, რაც მათთვის იყო პრიორიტეტული. რათქმუნდა მთავრობამ მოსახლეობის ეს მოთხოვა გაითვალისწინა, რის შედეგად ჩამოყალიბდა სამოქალაქო ბიუჯეტი, რომელიც შემდეგ გავრცელდა ევროპაში. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული სახის ბიუჯეტი არსებობს მარნეულში, ბორჯომში, წყალტუბოსა და გორში. სამოქალაქო ბიუჯეტი ეფექტური და კარგი შედეგის მომცემია ჩართულობის თვალსაზრისით, შესაბამისად მისი ჩამოყალიბება ჩვენს მუნიციპალიტეტში აუცილებელია. სურვილის შემთხვევაში გვექნებ მხარდაჭერა პოლონური მხარისგან, რომლები ჩაატარებენ ტრენინგებს, რომ საჭირო პროცედურების გავლით შეუდგეთ მუშაობას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა

საკრებულოს თავმჯდომარე:



მამუკა წოწერია